ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარების განვითარება ისტორიის გაკვეთილზე

დავით ბოლქვაძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილის საჯარო სკოლა

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი ეხება სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს. მასში გადმოცემულია ავტორის თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხზე, ყურადღება გამახვილებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რამდენიმე უნარ-ჩვევის განვითარების მნიშვნელობაზე, აღწერილია რამოდენიმე აქტივობა, რომლებიც წარმატებულად შეიძლება გამოიყენონ ისტორიის მასწავლებლებმა დასახული მიზნების მისაღწევად. კონკრეტულად განხილულია ისეთი უნარების განვითარების მნიშვნელობა, როგორიცაა : კრიტიკული და ანალიტიკული აზროვნების განვითარება, თანამშრომლობის კულტურის და ჯანსაღი კოლაბორაციული უნარების განვითარება, შემოქმედებითობისა და პრეზენტაციის უნარების განვითარება. თემის შესაბამისად აღწერილია აქტივობები. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ განხილული მეთოდები და აქტივობები საინტერესოს და სახალისოს გახდის სწავლების პროცესს, გაზრდის მოსწავლეების ინტერესს ისტორიის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ისტორიის უფრო ღრმად გააზრებას და უკეთ შესწავლას.

ნაშრომი აგებულია იმ სტატიებზე, რომლებიც ავტორმა მიმდინარე წელს გამოაქვეყნა ინტერნეტ-გაზეთ ,,მასწავლებელი.ჯი"-ზე. გამოვთქვამთ იმედს, რომ აღწერილი აქტივობები მასში შეტანილი მცირე ცვლილებებით სასარგებლო და გამოსადეგი იქნება სხვა საგნების მასწავლებლებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *უნარ-ჩვევა, კრიტიკული აზროვნება, აქტივობა*

სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნები მასწავლებლებს მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს. არავინ კამათობს, საერთო მძიმე სოციალური ფონი უარყოფით გავლენას ახდენს სწავლების პროცესზე, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, არც ის არის სადავო, რომ მასწავლებელს არ აქვს უფლება სოციალური ფონის გაუმჯობესებას დაელოდოს. იგი ვალდებულია მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენოს უკეთესი შედეგის მისაღწევად. ამ მიზნისაკენ მიმავალი ყველაზე მოკლე და ეფექტური გზა სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობებით გაჯერებულ გაკვეთილებზე გადის. აქ კი მასწავლებელს ფართო არჩევანი აქვს. თითქმის ორი ათწლეულია ჩვენს მასწავლებლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სხვა სოლიდური საგანმანათლებლო დაწესებულებები სხვადასხვა გამოცემებით სთავაზობენ ქართველი და უცხოელი ექსპერტების მეთოდოლოგიურ რჩევებს, ატარებენ მათთვის ძალზე ნაყოფიერ ტრენინგებს და სხვა ღონისძიებებს. ჩვენ იმედი გვაქვს, მასწავლებლების უმეტესობა ყურადღებით ეკიდება თანამედროვე მოთხოვნებს, ეცნობა სწავლების

ISSN 1512-1801

გაუმჯობესებისათვის საჭირო ლიტერატურას და ითვალისწინებს მათ თავიანთ პრაქტიკაში.

ჩვენს ნაშრომში ისტორიის სწავლების რამდენიმე მეთოდსა და აქტივობას შევეხებით. მიგვაჩნია, რომ სურვილის შემთხვევაში უმეტესი მათგანის გამოყენებას სხვა საგნების მასწავლებლებიც შეძლებენ (მაგ; ქართული ენისა და ლიტერატურის, სამოქალაქო განათლების და სხვ). შევეცდებით, ჩვენი აზრი მოგაწოდოთ ამ მეთოდების დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში, შემოგთავაზებთ კონკრეტულ აქტივობებს.

წინამდებარე ნაშრომი ინტერნეტ-გაზეთ ,,მასწავლებელი.ჯი"-ზე გამოქვეყნებული ჩვენი რამოდენიმე სტატიის ერთგვარი შეჯამებაც გახლავთ. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ამ ავტორიტეტულ გამომცემლობასთან ერთწლიანი თანამშრომლობა მაკავშირებს.

რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ ,,სწავლების თანამედროვე მოთხოვნები"? უპირველესად, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ უნარ-ჩვევების ჩამონათვალს, რომელიც მოსწავლეებს უნდა განვუვითაროთ მომავალი წარმატებისათვის. ამოცანა საკმაოდ რთულია, მასწავლებლებმა მოსწავლეებში უნდა განავითარონ ის უნარები, რომელთა განვითარებაზეც მათი მოსწავლეობისას არავის უზრუნია. ეს ურთულესი მისია წარმატებით რომ დაგვირგვინდეს, აუცილებელია მასწავლებელმა თვითგანვითარებაზე დიდი ძალისხმევა გაიღოს.

ამ ნაშრომში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე კონკრეტული უნარის მნიშვნელობაზე, კერძოდ : კრიტიკული და ანალიტიკული აზროვნების განვითარება, თანამშრომლობის კულტურის და ჯანსაღი კოლაბორაციული უნარების განვითარება, შემოქმედებითობისა და პრეზენტაციის უნარების განვითარება.

ვისაუბრებთ რა თითოული ზენოთდასახელებული უნარის განვითარების მნიშვნელობაზე, ამასთან ერთად შემოგთავაზებთ კონკრეტულ აქტივობასაც, რომელიც ჩვენი მოსაზრებით, ერთ-ერთი მართებული ღონისძიება გახლავთ დასახელებული უნარის განსავითარებლად. მოდი, **კრიტიკული აზროვნებით** დავიწყოთ. უდავოდ დამეთანხმებით, რომ კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება ძალზე მნიშვნელოვანია, იგი ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა გახლავთ. მიზეზთა გამო მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა გახლავთ, რომელიც ჩვენი მასწავლებლების წინაშე დგას, შესაბამისად, მასწავლებლებს დიდი ძალისხმევის გაღება მოუწევთ მიზნის მისაღწევად.

ISSN 1512-1801

მიგვაჩნია, რომ **დებატები** გახლავთ ერთ-ერთი საუკეთესო აქტივობა, რომელსაც შეუძლია, გაახალისოს, უფრო შემოქმედებითი გახადოს სასწავლო პროცესი. ის ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პრეზენტაციის ძალზე მნიშვნელოვანი უნარების გაუმჯობესება-განვითარებას. კიდევ შეიძლება ჩამოვთვალოთ კოგნიტური და შემეცნებითი უნარები, რომლებსაც მოსწავლეები დებატების მეშვეობით განივითარებენ: აბსტრაქტული აზროვნება, მოქალაქეობის გრძნობა, ეტიკეტის გაცნობიერება და დაცვა, თვითორგანიზება, საკუთარი თავის რწმენა, საჯარო მეტყველების კულტურა, კვლევა, გუნდური მუშაობა. და ეს სრული ჩამონათვალი არ გახლავთ.

ჩვენი თვალსაზრისით, დებატები ისტორიის მასწავლებელმა შეიძლება საკმაოდ ხშირად გამოიყენოს, რადგან ისტორიის გაკვეთილებისთვის მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევების განვითარებასთან ერთად, დებატები ისტორიის გააზრების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. იგი ეხმარება ისტორიის მასწავლებელს საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში, ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას, უფრო საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. დებატები ეთანადება ისტორიის სწავლების თანამედროვე მიდგომას, რომელიც ორიენტირებულია არა ფაქტებისა და თარიღების დამახსოვრებაზე, არამედ ისტორიული პროცესების გაანალიზებასა და შეფასებაზე, ისტორიული პირებისა და მოვლენების სხვადასხვა რაკურსით დანახვაზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უამრავი ისტორიული მოვლენისა და პირის შესახებ დღემდე არსებობს (და ყოველთვის იარსებებს) განსხვავებული მოსაზრებები, დებატების საჭიროება ისტორიის გაკვეთილზე ბუნებრივადაც წარმოიშობა.

დებატის ფორმატს, რომელიც ამჯერად გვინდა განვიხილოთ, ლინკოლნ-დუგლასის დებატები ეწოდება. დებატების ამ ფორმატის სახელწოდება სათავეს შორეული 1858 წლიდან იღებს, როცა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და შემდგომ აშშ-ის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ილინოისის შტატის სენატორის არჩევნებში ნაკლებად ცნობილ მეტოქეს ს. დუგლასს დაუპირისპირდა. საარჩევნო კამპანიის დროს მეტოქეებმა შვიდი საჯარო დებატი გამართეს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მათი დებატების თემა მონობა გახლდათ. სხვათა შორის, ის არჩევნები დუგლასმა მოიგო, მაგრამ ამ დებატებმა ლინკოლნი უფრო უკეთ გააცნო ხალხს, გაზარდა მისი პოპულარობა, რისი წყალობითაც მან შეძლო 1860 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოგება. ლინკოლნ-დუგლასის დებატების კლასიკური ფორმატით, ორი მხარე განიხილავს სადებატო თემას. შესაბამისად, დებატები იწყება საკამათო საკითხის წამოჭრით (მაგ., "ყუთლუ-არსლანის გამოსვლა - პროგრესული ისტორიული მოვლენა"). დებატებს იწყებს ის მხარე, რომელიც ეთანხმება განსახილველ საკითხს. დებატები კი ასეთი ფორმატით წარიმართება:

* სადებატო თემის მომხრე წარმოადგენს თავის არგუმენტებს (6 წთ);
* თემის მოწინააღმდეგე შეეცდება ჩამოაყალიბოს კონტრარგუმენტები (3 წთ);
* სადებატო თემის მოწინააღმდეგე წარმოადგენს თავის არგუმენტებს (6 წთ);
* თემის მომხრე მოპაექრეს თავის კონტრარგუმენტებს წარუდგენს (3 წთ);

ISSN 1512-1801

* სადებატო თემის მომხრე წარმოადგენს მოწინააღმდეგე გუნდის არგუმენტების შემაჯამებელ გაბათილებას (4 წთ);
* სადებატო თემის მოწინააღმდეგე წარმოადგენს მომხრე გუნდის არგუმენტების შემაჯამებელ გაბათილებას (4 წთ).

საზოგადოდ მიღებული ფორმატით, ლინკოლნ-დუგლასის დებატების დროს მოპაექრეები წინასწარ არ უნდა იცნობდნენ სადებატო თემას. სადებატო საკითხის წამოჭრის შემდეგ პრეზენტატორებს უნდა მიეცეთ დრო არგუმენტების მოსაფიქრებლად.

სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო კოგნიტური მიზნებიდან გამომდინარე, ლინკოლნ-დუგლასის დებატების ფორმატი, რასაკვირველია, შეიძლება შეიცვალოს. უპირველესად, ეს ეხება დებატების მონაწილეთა რაოდენობას. დებატები შეიძლება გავმართოთ წყვილებს, სამეულებს ან ჯგუფებს შორის.

მოდი, ამჯერად განვიხილოთ, როგორ შეიძლება გავმართოთ ლინკოლნ-დუგლასის ფორმატის დებატი ჯგუფებს შორის, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ამის საშუალებას გვაძლევს.

ჯგუფში შეგვიძლია 6 მოსწავლე გავაერთიანოთ. ეს რაოდენობა საშუალებას მოგვცემს, თითოეულ მოსწავლეს სპეციფიკური, მისთვის განკუთვნილი დავალება დავაკისროთ, რომელზეც თვითონ იქნება პასუხისმგებელი. დებატები იმავე ფორმატით წარიმართება, მაგრამ როლები ჯგუფის წევრებს შორის ასე განაწილდება:

მოდერატორი - ასახელებს სადებატო თემას, აცხადებს წესებს, წარმოადგენს ჯგუფის წევრებს და მათ მოვალეობებს;

მთავარი დებატორი/კონსტრუქტორი - წარმოადგენს თავისი გუნდის მთავარ არგუმენტებს;

კონტრარგუმენტატორი - დაუსვამს შეკითხვებს მოწინააღმდეგე გუნდის კონტრარგუმენტატორის მოპასუხეს;

კონტრარგუმენტატორის მოპასუხე - დროებით საკუთარ თავზე იღებს მთავარი დებატორის ფუნქციას და პასუხობს მოწინააღმდეგე გუნდის კონტრარგუმენენტატორის შეკითხვებს;

გამბათილებელი - პასუხობს შეკითხვებს, რომლებიც კონტრარგუმენტატორის მოპასუხისა და კონტრარგუმენტატორის დებატების დროს წარმოიშვა მისი გუნდის მიმართ;

შემაჯამებელი - ამთავრებს დებატებს, კიდევ ერთხელ ასახელებს თავისი გუნდის მთავარ არგუმენტებს; მისი მოვალეობაა, შეძლებისამებრ გააძლიეროს დებატების დროს მისი გუნდის მთავარ არგუმენტებში თავჩენილი სუსტი წერტილები (ე.წ. "ხვრელების

ISSN 1512-1801

ამოვსება").

ლინკოლნ-დუგლასის ფორმატი იძლევა ვარირების საშუალებას როგორც კლასში მოსწავლეთა რაოდენობის, ისე სასწავლო მიზნების შესაბამისადაც. მაგალითად, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, შეგვიძლია შევამციროთ მოსწავლეთა რაოდენობა ჯგუფში, შესაბამისად, ერთ მოსწავლეს ორი ფუნქცია დაეკისროს ან ზოგიერთი როლი საერთოდ გაუქმდეს. აგრეთვე შესაძლებელია, დებატებში მასწავლებელიც ჩაერთოს მოდერატორის ფუნქციით.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პირველივე ცდაზე სრული ფორმატით დებატების გამართვა რთული ამოცანაა, ამიტომ სავსებით ბუნებრივი იქნება, თუ მასწავლებელი დებატებს შემოქმედებითად მიუდგება და თავისი კლასის საჭიროებებს მოარგებს. ასევე სავსებით მოსალოდნელია, თავდაპირველად დებატებში ხალისით მხოლოდ აქტიური მოსწავლეები ჩაერთონ.

დებატებზე საუბრის დასასრულ, გვინდა, რამდენიმე წინასადებატო სტრატეგიაც შემოგთავაზოთ, რომლებიც გაცილებით მარტივია და მოსწავლეებს დაეხმარება სადებატო თემის უკეთ გააზრებაში, ინფორმაციის მოპოვებასა და გაანალიზებაში, რათა შემდეგ დებატების სრული ფორმატით გამართვა შეძლონ.

"სამი ბარათის" სტრატეგია - ეს სტრატეგია ყველა მოსწავლეს აძლევს შანსს, მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში, რომელიც სხვაგვარად შესაძლოა მონოპოლიზებულ იქნეს უფრო აქტიური მონაწილეების მიერ. ამ სტრატეგიის მიხედვით, მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს დებატების დაწყებამდე აძლევს სამ (საჭიროებისამებრ, შესაძლოა ორსაც) ბარათს, რომლებზეც წერია სიტყვები "შეკითხვა ან კომენტარი". თუ მოსწავლეს დისკუსიაში ჩართვის სურვილი ექნება, ასწევს ბარათს, ხოლო მას შემდეგ, რაც დასვამს კითხვას ან გააკეთებს კომენტარს, ბარათს გვერდზე გადადებს და ჩააბრუნებს. მას სამჯერ ექნება დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობა. ამრიგად, ეს სტრატეგია აიძულებს მოსწავლეს, კარგად დაფიქრდეს და მერე ჩაერთოს დისკუსიაში. ეს განსაკუთრებით ეხება აქტიურ მოსწავლეებს. ისინი ეცდებიან გაიაზრონ, ღირს ბარათის "დაკარგვა" იმ კომენტარად, რომლის გაკეთებასაც აპირებენ, თუ ის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული კომენტარისთვის შემოინახონ. სამივე ბარათის გამოყენების შემდეგ მოსწავლე ეთიშება დისკუსიას, სანამ ყველა მონაწილე არ გამოიყენებს თავის ბარათებს.

"დათვლის" სტრატეგია - იგი, ფაქტობრივად, ზემოთ აღწერილი სტრატეგიის იდენტურია, თუმცა შეიძლება, დებატებში უფრო გამოცდილ კლასთან გამოვიყენოთ. ამჯერად მოსწავლე ბარათების ნაცვლად ხელით იძლევა ნიშანს, რამდენჯერ მიიღო მონაწილეობა დისკუსიაში იმ მომენტისთვის. პირველ ცდაზე ის უბრალოდ ხელს აიწევს, მეორე ცდაზე საჩვენებელ თითს აღმართავს იმის ნიშნად, რომ ერთხელ უკვე მიიღო მონაწილეობა, მესამე ჯერზე კი ორ თითს ასწევს იმის ნიშნად, რომ უკვე ორჯერ გააკეთა კომენტარი და ამით ამთავრებს დისკუსიაში მონაწილეობას, სანამ ყველა დანარჩენი მოსწავლე არ მიიღებს მონაწილეობას მასში.

ISSN 1512-1801

სტრატეგია **"ერთმანეთის კვალდაკვალ"** - ეს სტრატეგია ლინკოლნ-დუგლასის დებატების ფორმატის ერთგვარი ალტერნატივაა. ამ შემთხვევაში გუნდში 5 წევრია. თითოეული გუნდის წევრი წარმოადგენს სადებატო საკითხის ერთ ასპექტს. მთელ გუნდს აქვს წინასწარ განსაზღვრული დრო (ვთქვათ, 5 წუთი), შესაბამისად, თითოეულ წევრს მიეცემა თითო წუთი. გუნდის პრეზენტაციას იწყებს პირველი წევრი მთავარი არგუმენტით. მას არ აქვს უფლება, ილაპარაკოს ერთ წუთზე მეტხანს და თავისი გამოსვლის დასასრულს უნდა მოასწროს გუნდის იმ წევრის დასახელება, რომელიც პრეზენტაციას გააგრძელებს. პირველ პრეზენტატორს სიგნალი მეორემ უნდა მისცეს ხელის აწევით. ამ ჟესტით პრეზენტატორი მიხვდება, ვინ არის მზად პრეზენტაციის გასაგრძელებლად. არ შეიძლება გუნდის რომელიმე წევრის მეორედ დასახელება, ვიდრე თითოჯერ ყველა არ მიიღებს მონაწილეობას.

თანამედროვე განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა მოსწავლეებში **თანამშრომლობისა და ჯანსაღი კოლაბორაციონიზმის** უნარის განვითარება გახლავთ. მაინც რით არის მნიშვნელოვანი მოსწავლეებისთვის გუნდური მუშაობის სწავლება და როგორ მივაღწიოთ ამას?

სოციალური მედიის მზარდი გამოყენების პირობებში სულ უფრო მეტი ადამიანი ამყარებს ერთმანეთთან კავშირს. უფროსკლასელებს შორის ინტერნეტსივრცეში ჩართულთა პროცენტული მაჩვენებელი, სავარაუდოდ, დიდად არ უნდა ჩამოუვარდებოდეს 100%-ს. ამის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, თუმცა ვისურვებდით, გაზრდილიყო ინტერნეტის სასწავლო მიზნით გამოყენების ხვედრითი წილი. ჩნდება მოსაზრება, რომ მოსწავლეები სულ უფრო ნაკლებად ურთიერთობენ ერთმანეთთან პირდაპირი, უშუალო კომუნიკაციის გზით. ამის გამო მათ ეკარგებათ უშუალო ურთიერთობის აუცილებელი უნარები. ვფიქრობთ, კარგი იქნება, ამ უნარების დაუფლება სასწავლო პროცესში, უშუალოდ გაკვეთილზეც მოხდეს. ონლაინ კომუნიკაციის არნახული ზრდის მიუხედავად, პირდაპირი კომუნიკაცია არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას. ადამიანები, რომლებიც დაუფლებული იქნებიან უშუალო ურთიერთობის საჭირო უნარებს, მეტ წარმატებას მიაღწევენ, ვიდრე ამ უნარებს მოკლებულები.

გუნდური მუშაობის უკეთ დასაუფლებლად არსებობს უამრავი უკვე აპრობირებული აქტივობა, რომლებიც ასწავლის მოზარდებს ერთმანეთთან პოზიტიურ და პროდუქტიულ კომუნიკაციას. ასეთებია: პროექტები, რომლებიც მოსწავლეებმა შეიძლება ერთად აკეთონ, სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ერთად მუშაობას მოითხოვს და უამრავი საგანმანათლებლო თამაში, რომლებიც ასევე უზრუნველყოფს გუნდური მუშაობის წარმატებით დაუფლებას.

მოსწავლეებს გუნდური მუშაობა რომ ვასწავლოთ, საჭიროა, მასწავლებელმა მკაფიოდ აუხსნას მათ ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა. მოსწავლეები ჯგუფურ მუშაობაში უნდა ჩავაბათ მას შემდეგ, რაც მათთან ერთად განვიხილავთ რამდენიმე აუცილებელ საკითხს. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომელ საჭირო უნარებს განუვითარებს მათ გუნდური მუშაობა, რა უნარები უნდა ჰქონდეთ მათ, რომ გუნდური

ISSN 1512-1801

მუშაობა ეფექტური აღმოჩნდეს. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს და მათთან ერთად განიხილოს გუნდური მუშაობის დროს დასაცავი წესებიც.

მოდი, შევჩერდეთ რამდენიმე მნიშვნელოვან უნარზე, რომლებიც სწორად წარმართული გუნდური მუშაობით შეიძლება განვუვითაროთ მოსწავლეებს (შეგიძლიათ განიხილოთ თქვენს მოსწავლეებთან ერთად).

მოსმენა

მოსწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მოსმენის უნარი აუცილებელია. იგულისხმება, რომ ყველა მოსწავლეს უნდა შეეძლოს აზრის ისე გამოთქმა, არ შეაწყვეტინონ. აგრეთვე ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა საკითხი განიხილება, რათა არ გამოეთიშოს განხილვის პროცესს. შეგვიძლია შემოგთავაზოთ ერთი უბრალო საშუალება ამის მისაღწევად: მივცეთ მოსწავლეებს რაიმე პატარა საგანი და დავთქვათ, რომ ლაპარაკობს მხოლოდ ის, ვისაც ხელში ეს საგანი უკავია. საამისოდ გამოდგება პატარა ფუმფულა სათამაშო ან სულაც ჩვეულებრივი ფანქარი.

საუბარი

მოსწავლეები უნდა დავარწმუნოთ, რომ მათ სჭირდებათ აზრის გამოთქმის უნარი. მათ უნდა შეეძლოთ თავიანთი იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმა და სხვისი იდეებისა და მოსაზრებების შეფასება. მოსწავლეთა უმეტესობა არავითარ სირთულეს არ აწყდება მეგობრებთან საუბრისას, მაგრამ ჯგუფში რაიმე საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება სულ სხვა უნარებს მოითხოვს. აქ საჭიროა, მოსწავლემ აზრი არა ერთ ან ორ მეგობარს, არამედ ჯგუფის რამდენიმე წევრს გაუზიაროს, თანაც ისე, რომ მისი იდეები სხვებისთვისაც იოლი გასაგები იყოს. მნიშვნელოვანია, აზრის გადმოცემისას მოსწავლემ გაითვალისწინოს დროის ფაქტორიც. თუ ის დიდხანს მოუნდა თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებას, მის მეგობრებს ყურადღება გაეფანტებათ და შესაძლოა, მისი სავსებით სწორი მოსაზრება დაიკარგოს. მეტისმეტად დიდხანს ლაპარაკი ერთსა და იმავეზე ან ერთი მოსაზრებიდან მეორეზე გადახტომა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

თავდაჯერება

ჩვენი რწმენით, ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს თავდაჯერების გამომუშავებას. ჯგუფში წარმატებული მუშაობისთვის მოსწავლეებს სჭირდებათ თვითრწმენა, საკუთარი თავის რწმენა. მათ თავიანთი აზრები გაბედულად უნდა გამოთქვან და მიიღონ ნეგატიური უკუკავშირი ისე, რომ არ განაწყენდნენ და მუშაობის გაგრძელება შეძლონ. თავდაჯერების, თვითრწმენის ჩამოყალიბება რთული, ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ რაც უფრო მეტად მიიღებს მოსწავლე ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობას, რაც უფრო უკეთ ისწავლის სხვების მოსმენას და აზრის გამოთქმას, მეტად თავდაჯერებულიც გახდება.

ISSN 1512-1801

ჯგუფური მუშაობა მხოლოდ ზემოთ განხილული უნარების განვითარებას როდი უწყობს ხელს - რასაკვირველია, კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება: ურთიერთპატივისცემა, ლიდერობის გრძნობა, როლების განაწილება, პასუხისმგებლობა და სხვ. თუმცა მიგვაჩნია, რომ მოსმენა, საუბარი და თავდაჯერება წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ უნარებს, რომელთა განვითარებაც ჯგუფური მუშაობით არის შესაძლებელი.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარება. მიგვაჩნია, რომ ამ მიზნის მისაღწევად კარგი იქნება თუ მოსწავლეებში ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარს განვავითარებთ. წარმოგიდგენთ აქტივობას, რომელსაც **მთხრობელობა** ვუწოდეთ, რაც ამბების მოყოლას ნიშნავს, მაგრამ გარკვეული წესების დაცვით. სანამ უშუალოდ აქტივობას აღვწერთ, გვინდა ორიოდე სიტყვა ამბების მოყოლაზეც გითხრათ. ამბების მოყოლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მთხრობელები უძველეს, დამწერლობამდე ეპოქაში ფლობდნენ უამრავი ეპიკური ამბავის თითქმის სიტყვასიტყვით დამახსოვრების უნარს. ისინი რამდენიმე საღამოს განმავლობაში გადასცემდნენ ხოლმე მსმენელებს ერთ რომელიმე ლეგენდას. მათ მეხსიერებაში შეეძლოთ თავიანთი ტომის მთელი ისტორიის ,,მოთავსება" და როცა ამის საჭიროება იყო (დღესასწაულებზე, რიტუალების შესრულებისას და ა. შ.), მათი ოსტატურად გადმოცემაც შეეძლოთ.

დამწერლობის გაჩენამ ადამიანებს ამბების ჩაწერის საშუალება მისცა და მათი მეხსიერება გაათავისუფლა ამ ,,გმირობისაგან". მაგრამ ტრადიციულ მთხრობელობას არასოდეს დაუკარგავს და ახლაც აქვს თავისი ხიბლი. ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს, ყოველთვის იტაცებდა ამბების მოყოლა და მოსმენა. განათლების ექსპერტები იძლევიან რეკომენდაციას, რომ მასწავლებლებს წარმატებით შეუძლიათ მთხრობელობა, როგორც სასწავლო აქტივობა, სწავლების პროცესში გამოიყენონ, შეიტანონ მათში თამაშის ელემენტები, რითაც შეძლებენ გაკვეთილიც უფრო ხალისიანი და საინტერესო გახადონ და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარების განვითარებასაც შეუწყობენ ხელს.

რატომ უნდა მოვუყვეთ ბავშვებს ამბები?

ტრადიციულად მოთხრობის მოყოლა კლასისათვის ამბავის ზეპირად მოყოლას ნიშნავს. მას შეუძლია ბევრი სარგებლობა მოუტანოს ბავშვებს :

1.ანვითარებს მოსმენის და საუბრის კულტურას;
2.აძლიერებს ბავშვების წარმოსახვის და გონებრივი წარმოდგენების უნარებს;
3.ანვითარებს მეხსიერებას;
4.გავლენას ახდენს ბავშვების წერით მეტყველებაზეც, ისევე როგორც წაკითხული მასალის სელექციაზე;
5.აცნობს მათ ტრადიციულ მოთხრობებს, მითებს, ლეგენდებს და თქმულებებს; ამ გზით გაეცნობიან მორალის, ეთიკის, სამართლიანობის, და ა. შ. ცნებებს, ბუნებრივად ჩაერთვებიან დისკუსიაში სოციალურ მორალსა და პიროვნულ ეთიკაზე;

ISSN 1512-1801

6.წარმოშობს სახალისო, შემოქმედებით ატმოსფეროს, მოახდენს მოსწავლეების დაინტერესებას.

მასწავლებელის პროფესია თითქოს იგივე მთხრობელობაა, რადგანაც გაკვეთილის ახსნაც ამბავის მოყოლაა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. მთხრობელობის, როგორც სასწავლო აქტივობის გამოყენებისას მასწავლებელი კონცენტრირებას მოახდენს ერთ რომელიმე ამბავზე, მოთხრობასა ან ლეგენდაზე და მისი გადმოცემისას გარეგნულ ეფექტებზეც (მაგ; ზომიერი ემოცია, ჟესტიკულაცია) მოუწევს ყურადღების გამახვილება. მიგვაჩნია რომ აქტივობას წარმატებით გამოიყენებს დაწყებითი კლასების, ქართული ენის, ისტორიის, ხელოვნების მასწავლებლები. მათ შეუძლიათ თავიანთ სასწავლო მიზნებსა და კლასებს მოარგონ ჩვენი რეკომენდაციები. ქვემოთ მოცემული სტრატეგიებიდან მასწავლებლებს შეუძლიათ რომელიმე ერთი გამოიყენონ, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიან.

დასაწყისი : ***მასწავლებელი, როგორც მთხრობელი***

სასურველია თავიდან მარტივი, ცნობილი ამბებით დავიწყოთ, მაგალითად პატარებისათვის ეს შეიძლება იყოს ნაცნობი ქართული და უცხოური ზღაპრების და ლეგენდების გამარტივებული ვერსიები. საშუალო ასაკის ბავშვებისათვის უფრო რთული ამბები უნდა ავარჩიოთ, როგორიცაა მაგ; ეზოპეს და ს.ს. ორბელიანის იგავები. მაღალი კლასების მოსწავლეებისათვის კი ისეთი ამბები უნდა შევარჩიოთ, რომლებსაც ისინი ,,ბავშვურად" არ ჩათვლიან. მათთვის კარგია ჩახლართულსიუჟეტიანი მოთხრობები. მოთხრობების შერჩევის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ისინი არ უნდა იყოს ძალიან გრძელი, უნდა ჰქონდეს იუმორი და მსუბუქი ირონია, რომელიც ძალიან მოსწონთ ბავშვებს.
რამდენჯერმე წაიკითხეთ მოთხრობა, რათა დარწმუნდეთ, რომ კარგად დაიმახსოვრეთ. პატარა მოთხრობებისათვის ჩანაწერების გაკეთება არ დაგჭირდებათ. მაგრამ კარგი იქნება თუ მოთხრობას სარკის წინ წაიკითხავთ. ეს დაგარწმუნებთ, რომ მოთხრობა კარგად გახსოვთ.

მოსწავლეებს უთხარით, რომ რაღაც ახალს სწავლობთ. საკუთარი გამოცდილებით შევამჩნიე, ბავშვებს ძალიან მოსწონთ იმის გაგება, რომ მათი მასწავლებელიც სწავლობს (სულ რაღაცას ვსწავლობ). შემდეგ უბრალოდ მოყევით ამბავი. საწყის ეტაპზე რეკომენდირებული არ არის ისეთი ეფექტების შექმნა, როგორიცაა ხმის ტემბრის შეცვლა, მიმიკების გამოყენება, ხელების მოძრაობა და სხვ.

ცოტა ხნის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს ამბავი შეახსენოს და სთხოვოს მათ უკუკავშირი. მიზნად დაისახეთ კლასისთვის სემესტრის განმავლობაში გარკვეული რაოდენობის ამბების მოყოლა. ამბები ინტერნეტითაც შეიძლება მოიძიო, რომელიც სხვადასხვა კულტურების შესახებ მრავალ საინტერესო მასალას გვთავაზობს.

ISSN 1512-1801

ორი სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებელი უკვე შექმნის იმ მოთხრობების ნუსხას, რომლებსაც ამა თუ იმ კლასისთვის ყველაზე მეტად მისაღებად ჩათვლის და მისთვისაც მოსახერხებელი იქნება. ეს მოთხრობები მისი რეპერტუარის მთავარი ბირთვი გახდება. ეს არ ნიშნავს, რომ სიაში ახალი ამბები არ გაჩნდება და არც ერთი და იგივე ამბავის ყოველთვის ერთნაირად მოყოლა არ არის სავალდებულო. ამბების მოყოლის ერთ-ერთი სიამოვნება სწორედ ის არის, რომ მასწავლებელს შესანიშნავ ექსპერიმენტებს შეუძლია მიმართოს.

შემდეგი ეტაპი ***: ბავშვები, როგორც მთხრობელები***

მას შემდეგ რაც მოსწავლეებს რამდენიმე ამბავს მოუყვებით და ბავშვები მოსმენის უნარს გამოიმუშავებენ, შეგვიძლია შემდეგ ეტაპზე გადავიდეთ და უკვე მათი, როგორც მთხრობელის უნარის განვითარებაზე ვიზრუნოთ. გთავაზობთ რამდენიმე ტექნიკას. ისინი სირთულის მიხედვით სხვადასხვა დონისაა. მათ ერთმანეთის მიყოლებით მარტივიდან რთულისაკენ აღვწერთ და მასწავლებლების მიმართ ვიძლევით რეკომენდაციას, პრაქტიკაში მათი გამოყენებისას დაიცვან ეს თანმიმდევრობა.

მოთხრობის მოყოლა წყვილებში

სასურველია ამბების მოყოლა ბავშვებს ისე დავაწყებინოთ, რომ მათ თავი კომფორტულად იგრძნონ. ამისათვის უბრალოდ მეწყვილესთან ერთად ჯდომა და მასთან ერთად ამბების მოყოლაც საკმარისია. შეგვიძლია ბავშვები წრეში დავსვათ სკამებზე და მოვუყვეთ მოკლე, მათთვის უცნობი მოთხრობა. უცნობი ამბავი იმიტომ უნდა ავარჩიოთ, რომ გვინდა მოსწავლეები ამ აქტივობით გარკვეული გამოწვევების წინაშე დავაყენოთ. როცა თხრობას დავამთარებთ, ბავშვებმა გვერდით მჯდომთან უნდა შექმნან წყვილები და ერთად მოყვნენ მოსმენილი მოთხრობა. მკაფიოდ უნდა მოვითხოვოთ მოსწავლეებისაგან, რომ ერთმა კი არ მოუყვეს მეორეს მოთხრობა, არამედ ერთმანეთს მოუყვნენ. ჯერ ერთმა უნდა დაიწყოს საუბარი, მეორემ გააგრძელოს, შემდეგ ისევ პირველმა და ა.შ. სანამ ამბავი არ დამთავრდება. მათ შეუძლიათ ერთმანეთის მოყოლაშიც ჩაერიონ და შეახსენონ ის დეტალები, რომლებიც მის მეწყვილეს გამორჩა მოყოლისას. აგრეთვე შეუძლიათ დროებით თხრობაც შეწყვიტონ და პატარა დისკუსიაც მოაწყონ რომელიმე საკითხზე და ამით ამბავიც უკეთ გაიხსენონ. ეს ტექნიკა რამდენიმეჯერ შეგვიძლია გავიმეოროთ სანამ შემდეგ საფეხურზე გადავალთ.

ამბები წრეში

მას შემდეგ რაც მოსწავლე პატარა, უბრალო ამბებს თავის პარტნიორს მოუყვება, შესაძლებელია მისთვის უკვე კომფორტული გახდეს ამბავის ჯგუფისათვის მოყოლა. ამ აქტივობისათვის მთელი კლასი მასწავლებლის ჩათვლით სხდებიან წრეში. მასწავლებელი მოყვება ამბავს მთლიანად. შემდეგ თითოეული მოსწავლე

ISSN 1512-1801

ერთმანეთის მიყოლებით მოყვება მოთხრობის მცირე ნაწილს. ამ დროს კარგი იქნება თუ რაიმე პატარა საგანი გვექნება, რომელსაც მოსწავლეები ერთმანეთს გადასცემენ. ამბავის მოყოლას დაიწყებს მასწავლებელი, იტყვის რამდენიმე წინადადებას და შემდეგ საგანს გადასცემს მის გვერდით მჯდომ მოსწავლეს მარჯვნივ ან მარცხნივ. თითოეული მოსწავლე მოყვება რა ამბავის თავის ნაწილს, წრის ბოლოს ამბავიც ჩამთავრდება.

სავსებით მოსალოდნელია რომელიმე მოსწავლე შეფერხდეს. ასეთ შემთხვევაში მომდევნო ან რომელიმე სხვა მოსწავლეს შეუძლია მას წამოეშველოს. როდესაც ამ აქტივობას პირველად აკეთებთ, დასაშვებია ბავშვს უფლება მივცეთ თავის წილი მოთხრობის მოყოლაზე უარი თქვას და ჯერი შემდეგ მოსწავლეზე გადავა.

ერთწუთიანი მოთხრობა

ახალ ტექნიკაზე გადასვლისას, რომელსაც ერთწუთიანი მოთხრობა შეიძლება ვუწოდოთ, მოსწავლეებისათვის ნაცნობი ამბავი უნდა გამოვიყენოთ. დასაშვებია რომ ეს ამბავი ორივე ზემოთაღწერილი აქტივობით ჰქონდეთ მოყოლილი. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ - ერთი ყვება მთელ ამბავს და მეორე უსმენს, შემდეგ როლებს გაცვლიან. მაგრამ ამბის მოსაყოლად თითოეულს მხოლოდ ერთი წუთი ექნებათ და მასწავლებლის ფუნქცია დროის გაკონტროლებაა. შესაძლებელია მათ დროდადრო დარჩენილი წამებიც შევახსენოთ. მაგ; როცა დარჩება 30 წამი, 15 წამი, 5 წამი (ბოლო ხუთი წამი შეიძლება დავუთვალოთ). დროის შეხსენება მოსწავლეს აიძულებს თავისი მოთხრობა შეამციროს და მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვას. ასე რომ, ეს აქტივობა ბავშვებს ინფორმაციის დახარისხების უნარსაც განუვითარებს. აქტივობა ძალზე სახალისოა და მოსწავლეებს აჩვევს გამოწვევების წინაშე დგომას.

ცარიელი ძვლები

ეს სტრატეგია ამბების მოყოლის მთავარ ტექნიკად შეიძლება ჩავთვალოთ. მოსწავლეეები ისევ წყვილებად დავყოთ და დავავალოთ რომ ამბავი, რომელიც მათ მოისმინეს, ზუსტად განსაზღვრული წინადადებების რაოდენობით გადმოსცენ (მაგ; 10 წინადადებით). ეს გახლავთ კიდევ ერთი აქტივობა, რომელიც მოსწავლეების კონცენტრაციას მოახდენს, რომ განასხვავონ მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია. ამასთან წერითი მეტყველების კულტურის განვითარებასაც უწყობს ხელს. ძალიან კარგი იქნება თუ ამ აქტივობისათვის სპეციალურ ფორმას გამოვიყენებთ. მაგ; მოსწავლეებს მივცეთ ფურცელი, რომლებზეც დახატული იქნება ზუსტად იმდენი ძვალი, რამდენი წინადადებაც მათ უნდა დაწერონ, შესაბამისად თითო ძვალში თითო წინადადება უნდა ჩაიწეროს. ეს ფორმა უკვე წარმოადგენს ჩანაწერებს, რომლებსაც მოსწავლეები მომდევნო ეტაპზე გამოიყენებენ, როცა ისინი აუდიტორიას ამბებს, როგორც მთხრობელები მოუყვებიან.

ISSN 1512-1801

ბავშვები ხდებიან მთხრობელები

ზემოთ აღწერილი აქტივობების ათვისების შემდეგ ბაშვები უკვე მზად არიან თვითონ იქცნენ მთხრობელებად და მოთხრობა ან ამბავი მთელ კლასს მოუყვნენ. შევარჩიოთ რამდენიმე მოთხრობა, კლასი ჯგუფებად დავყოთ და ჯგუფის ყველა წევრს მივცეთ მოთხრობა. ვთხოვოთ მათ, რომ ჯერ ,,ძვლების" ჩანაწერები გააკეთონ, ხოლო შემდეგ მოახდინონ მისი პრეზენტირება მთელი კლასისათვის. მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი მოსწავლე უბრალოდ წაიკითხავს დაწერილ ჩანაწერებს, ნიჭიერი ბავშვები კი ჩანაწერებს შეალამაზებენ და ისე მოყვებიან.

ყველა ნიჭიერი ბავშვი არ არის კარგი კომუნიკატორი, მაგრამ ჩვენ დავინახავთ, რომ მათი უმეტესობა ახალ აქტივობაში ხალისით ჩაერთვება და დავალებებსაც წარმატებით გაართმევს თავს. განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებს შეიძლება ძველი, ცნობილი ამბების თანამედროვე ეპოქასთან ადაპტირება ვთხოვოთ, რაც თავის მხრივ დამატებითი სააზროვნო აქტივობა იქნება და ამავდროულად სახალისოც.

მთხობელობა უცხოეთში ძალზე პოპულარული გახლავთ. იქ ლიტერატურული ფესტივალების პარალელურად მთხრობელების ფესტივალებიც ტარდება. მათ შორის ყველასათვის ცნობილ ედინბურგის ფესტივალზეც. ამ ფესტივალებზე ნიჭიერი ბავშვები ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად მონაწილეობენ. წარმატებული მოსწავლეები კომპიუტერში იწერენ თავიანთ საუკეთესო შესრულებებს, შემდეგ მათ ტექნიკურადაც აფორმებენ (მაგ; მუსიკით). თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი მათგანი საკუთარი დისკების გაყიდვასაც კი ახერხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.educationworld.com ავტორი - გარი ჰოპკინსი (Gary Hopkins);
2. http://www.nps.gov;
3. http://www.edarticle.com ავტორი - დავიდ ბრაუნი (David Brown);
4. http://www.teachingexpertise.com ავტორი - სტივ მინარდი (Steve Mynard).